

დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ დირექტორის ბრძანება:

№ 80 „ო“ 18 ივნისი 2025 წ

შეთანხმებულია

შსს საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური:

24.06.2025 წ. წერილი N 1935993



სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

შემუშავებულია სსიპ კოლეჯის „ერქვანი“
ორგანიზაციის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის „ერქვანი“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ფრიდონ ბუაძე

2025 წლის 18 ივნისის N 80 „ო“ ბრძანებით (იხ. დანართი 1), საქართველოს მთავრობის 2015 წლის
24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული
გეგმის“ შესაბამისად.

ქ. ამბროლაური
2025 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	4
1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი.....	4
1.2 გეგმის მიზანი.....	4
1.3 ორგანიზაციის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები:	4
1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია:	5
1.3.2 თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის და სტუდენტების რაოდენობა: 145 .5	
1.4 საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქციონალური მოვალეობები	5
საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები.....	5
1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.	6
1.6 სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.	6
საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.	6
2.1 მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:	6
2.2 რისკის შეფასების დრო: 16.06.2025	6
2.4 რისკის შეფასების შედეგები:.....	7
რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან	7
გამოვლინდა შემდეგი რისკები:.....	7
რისკი #1 აღწერა:.....	7
რისკი #2 აღწერა	7
რისკი #3 აღწერა:.....	7
2.5 საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:.....	7
სცენარი #1 რისკის მიხედვით:.....	8
სცენარი #2 რისკის მიხედვით:.....	8
სცენარი #3 რისკის მიხედვით:.....	8
სცენარი #4 რისკის მიხედვით:.....	8
III თავი	8
გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.....	8
3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:.....	8
3.2 ფაზა II: მზადყოფნა.....	9
3.3 ფაზა III. რეაგირება:	10

3.4 ფაზა IV. აღდგენა:.....	10
გეგმის დანართები	10
სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ დირექტორის ბრძანება N	11
სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი	12
საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები.....	13
და მათი ამოცანები.....	13
სსიპ კოლეჯის „ერქვანი“	18
საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა	18
დანართი 5,6,7,8.....	19
გასატარებელი ღონისძიებების დეტალური გეგმები საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზებისა და ცალკეული სცენარების მიხედვით	19
დანართი 5.1.....	19
დანართი 5.2.....	19
დანართი 5.3.....	20
დანართი 5.4.....	21
დანართი 6.1.....	22
დანართი 6.2.....	24
დანართი 6.3.....	25
დანართი 6.4.....	26
დანართი 7.1.....	26
დანართი 7.2.....	27
დანართი 7.3.....	28
დანართი 7.4.....	29
დანართი 8.1.....	31
დანართი 8.2.....	32
დანართი 8.3.....	33
დანართი 8.4.....	34
დანართი 9.....	35
საევაკუაციო გეგმები	35
I -სართული	35
II სართული	36
დანართი N 10.....	36
რეაგირების ჯგუფის შემადგენლობა.....	37

საგანგებო მართვის გეგმა

I თავი

შესავალი

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ საქმიანობის საფუძველს. იგი, ამავდროულად, არის „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი და უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, თანამშრომლების, სტუდენტების (მოსწავლეების), მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ მოქმედებს დანართი N2-ში წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე დროს, იგი უფლებას იტოვებს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ თანამშრომლების, სტუდენტების (მოსწავლეების), მატერიალური ფასეულობათა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;
- ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების **მიტიგაციის**, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე ორგანიზაციის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

1.3 ორგანიზაციის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები:

კოლეჯის სასწავლო-ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N10. შენობა ექსპლუატაციაში შესულია 2013 წელს, უზრუნველყოფილია წყლით, ელექტროენერგიით და გაგრილება-გათბობის სისტემით.

მიმდებარე ტერიტორიის აღწერა: შენობა არის ორ სართულიანი, მრგვალი კონფიგურაციით, შემინული. შენობის სიმაღლე მიწის დონიდან ლავგარდნამდე 8 მ-ია. საძირკველი ლენტურია.

მონოლითური რკ/ბეტონის კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ ნაგებობას. სართულებშია გადახურვები რკინა-ბეტონის ფილებით(დასხმული ფილა) იატაკზე დერეფანში და სველ წერტილებში დაგებულია კერამიკული ფილა ხოლო ოთახებში დაგებულია ლამინირებული პარკეტი . სართულებზე ასასვლელად შენობაში განთავსებულია ერთი კიბის უჯრედი. კიბე გაკეთებულია მონოლითური რკინაბეტონით. საფეხურები მოპირკეთებულია კერამიკული ფილით. შენობაში ასევე არის ლიფტის სექცია რომელიც ჩაშენებულია ცალკე კონსტრუქციით. შენობაში არის წყალი და დენი. შენობა მდებარეობს ქ. ამბროლაურის ავტოსადგურთან 800 მეტრში. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით და სიგნალიზაციით; ვიდეო სამეთვალყურეო სისტემით, ასევე შენობას გააჩნია ორი გასასვლელი და საევაკუაციო კიბე ორივე სართულიდან .

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია:

ფრიდონ ბუაძე ; დირექტორი, ამბროლაური ; 595 06 86 47

1.3.2 თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის და სტუდენტების რაოდენობა: 145

1.4 საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

სსიპ კოლეჯში „ერქვანი“ ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის დირექტორი ხოლო, მისი მოადგილე - საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი , რომელიც დანიშნულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შიდაუწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- რეაგირების ძალებისათვის მითითებების მიწოდებას და მათ კოორდინირებას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;
- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევისა და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია/საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციის დასახელება	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბის წევრის საკურატორო ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი	დირექტორი	დანართი № 3 პუნქტი № 1

2	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში	დირექტორის მოადგილე	დანართი № 3 პუნქტი № 2
3	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე-კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	იურისტი	დანართი № 3 პუნქტი № 3
4	სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	დანართი № 3 პუნქტი № 4
5	მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი	მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი	დანართი № 3 პუნქტი № 5
6	სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი:	მედდა	დანართი № 3 პუნქტი № 6

1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების და თანამშრომლების შეტყობინება სირენის გამოყენებით, რომელიც დამონტაჟებულია შენობაში და გააჩნია დამოუკიდებელი დენის წყარო, დენის გათიშვის შემთხვევაში. ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით (საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა დანართი №4).

1.6 სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

II თავი

საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” (ნოემბერი 2015) საფუძველზე.

2.1 მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

შენობაში დაარსების დღიდან დღემდე ხანძარი არ დაფიქსირებულა . განსაკუთრებულ საფრთხეს ასევე წარმოადგენს უხვი ნალექი და ძლიერი ქარი ზამთრის და გაზაფხულის პერიოდში. ამ შემთხვევაში შენობაში მყოფ პირებს უტარდებათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი, ასევე ტარდება პროფესიული სტუდენტების და თანამშრომლების ინფორმირება სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებით .

2.2 რისკის შეფასების დრო: 16.06.2025

2.3 რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა აკადემიის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იყო ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.4 რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ხანძარი	4	8	32
2	მიწისძვრა	3	8	24
3	უხვი ნალექი	8	3	24
4	ქარბუქი	8	3	24

რისკი #1 აღწერა:

სსიპ კოლეჯში „ერქვანი“ სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები გატარებულია დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების მოწერილობის შესაბამისად, რაც ამცირებს ხანძრის წარმოქმნის რისკს.

რისკი #2 აღწერა

სასწავლებლის შენობა მდებარეობს სეისმური აქტივობის 6-7 ბალიან ზონაში ზონაში რაც გვადლევეს იმის ვარაუდს რომ მიწისძვრის შესაძლებლობა არცთუ ისე მაღალია თუმცა შენობა აბსოლუტურად აკმაყოფილებს სეისმურად აქტიური ზონის მოთხოვნებს, ასევე პერიოდულად ტარდება თანამშრომლების და სტუდენტების ინსტრუქტაჟი.

რისკი #3 აღწერა:

სასწავლებლის შენობა მდებარეობს მთებით გარშემორტყმულ ადგილას და აქედან გამომდინარე ამ კლიმატურ ზონაში მოსალოდნელია უხვთოვლიანი ზამთარი რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს კომუნიკაციის მხრივ, რის თაობაზეც სასწავლებლის სტუდენტებს და თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ ინსტრუქტაჟი.

რისკი #4 აღწერა:

სასწავლებლის შენობა მდებარეობს მთებით გარშემორტყმულ ადგილას, აქედან გამომდინარე ამ კლიმატურ ზონაში მოსალოდნელია ძლიერი ქარი რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს კომუნიკაციის მხრივ, რის თაობაზეც სასწავლებლის სტუდენტებს და თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ ინსტრუქტაჟი.

2.5 საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა კოლეჯში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი #1 რისკის მიხედვით:

სცენარი#1 რისკის მიხედვით: ხანძრის შემთხვევაში, მიუხედავად დაბალი ალბათობისა შესაძლოა გადაიწვას ელექტრო-სისტემა, საფრთხე შეექმნას შენობის საოფისე და სასწავლო ინვენტარს, ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე ადამიანთა დაზარალება.

სცენარი #2 რისკის მიხედვით:

მოცემულ ტერიტორიაზე მიწისძვრა ვერ გამოიწვევს ობიექტზე არსებული შენობა-ნაგებობების ნგრევას, კომუნალური, ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლას კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლას. თუმცა შედარებით დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია შენობის შემინვის დაზიანება და კომუნიკაციების მწყობრიდან გამოსვლა.

სცენარი #3 რისკის მიხედვით:

უხვმა ნალექმა ზამთრის პერიოდში შეიძლება გამოიწვიოს კომუნიკაციების მოშლა, ელექტრო ენერგიის გათიშვა, ხოლო სამედიცინო დახმარების შეფერხების საშიშროება დაბალია, რადგან სასწრაფო დახმარების ცენტრი მდებარეობს კოლეჯის შენობიდან 1200 მეტრში.

სცენარი #4 რისკის მიხედვით:

ძლიერმა ქარმა შეიძლება გამოიწვიოს შენობის შემინვის დაზიანება და ელექტრო ენერგიის გათიშვა.

III თავი

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N 1 რისკის მიხედვით:

ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი #5.1

ხანძრის საფრთხის შესამცირებლად სსიპ კოლეჯს „ერქვანი“ გატარებული აქვს შემდეგი ღონისძიებები:

1. სახანძრო უსაფრთხოებაზე გამოყოფილი ყავს პასუხისმგებელი პირი.
2. შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.
3. დამონტაჟებულია საევაკუაციო კიბე.
4. შენობის საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია ავარიული განათება
5. საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია მიმართულების განათებული მაჩვენებლები.
6. შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის 112 ის ნომერი.
7. ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები ვადის კონტროლით და გამოყენების ინსტრუქციით.

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების **აღწერილობა N 2** რისკის მიხედვით: მიწისძვრის რისკის შესამცირებლად ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი #5.2

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების **აღწერილობა N 3** რისკის მიხედვით: უხვი თოვლისგან გამოწვეული რისკის შესამცირებლად ზამთრის პერიოდში სისტემატიურად მიმდინარეობს ამინდზე დაკვირვება ;მონაცემების შეგროვება და დამუშავება ,ამინდის გაუარესების შემთხვევაში ხორციელდება კომუნიკაციების და გზების წმენდა. ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი #5.3

3.1.4 ჩასატარებელი ღონისძიებების **აღწერილობა N 4** რისკის მიხედვით: ძლიერი ქარისგან გამოწვეული რისკის შესამცირებლად სისტემატიურად მიმდინარეობს ამინდზე დაკვირვება ;მონაცემების შეგროვება და დამუშავება. ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ დანართი #5.4

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

სსიპ კოლ ეჯის „ერქვანი“ საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათანადო სამოქმედო და დროებითი თავშესაფარისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს. მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს. მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის შეგროვებას და მართვას. ამ მიზნით მიმდინარეობს ამინდზე სისტემატიური დაკვირვება, იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა რის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით: დანართი 6.1

2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით: დანართი 6.2

2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: დანართი 6.3

2.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: დანართი 6.4

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.3 ფაზა III. რეაგირება:

3.3.1 შენობიდან ევაკუაციის გეგმა - წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ დანართი N 9). ორგანიზაციაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციისათვის რეაგირების ჯგუფები (იხილეთ დანართი N 11).

3.3.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით; 3.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით: დანართი 7.1

3.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით: დანართი 7.2

3.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: დანართი 7.3

3.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N4 რისკის მიხედვით: დანართი 7.4

3.5 სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა იხილეთ დანართი 9-ში;

3.6 შენობიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე (იხ. დანართი 11)

3.7 სასწავლებელს აქვს შენობა ნაგებობის მდგრადობის დოკუმენტი

3.4 ფაზა IV. აღდგენა:

4.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით: დანართი 8.1

4.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით: დანართი 8.2

4.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით: დანართი 8.3

4.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N4 რისკის მიხედვით: დანართი 8.4

IV თავი

გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება
1	ბრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
2	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი
3	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკუთრებით საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები
4	საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა
5	გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით - პრევენცია
6	გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით - მზადყოფნა
7	გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით - რეაგირება

8	გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით - აღდგენა
9	შენობებიდან ევაკუაციის გეგმები
10	სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
11	რეაგირების ჯგუფის შემადგენლობა სიები

დანართი N 1

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“ დირექტორის ბრძანება N 80 „ო“

ქ. ამბროლაური

18 ივნისი 2025 წელი

სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 და „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილების და სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ წესდების მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის საფუძველზე სსიპ კოლეჯის „ერქვანი“ დირექტორი.

ვბრძანებ:

- კოლეჯში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით შეიქმნას საგანგებო შტაბი, შემდეგი შემადგენლობით:
 - საგანგებო შტაბის უფროსი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - **ფრიდონ ბუაძე**
 - საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში - დირექტორის მოადგილე - **ილია ოშხერელი**
 - შტაბის უფროსის მოადგილე - კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - **იურისტი - გრიგოლ დვალი**
 - სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი - **მურთაზი სალუქვაძე**
 - მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი - **მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი - გია ბენდიანიშვილი**
 - სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი: მედდა - **მანანა ხიდურელი**
- კოლეჯში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით დამტკიცდეს თანდართული საგანგებო მართვის გეგმა და დანართები 1-11;
- დამტკიცდეს საგანგებო შტაბის წევრების თანდართული ფუნქციონალური მოვალეობები;

4. ამ ბრძანებისა და შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს - **ფრიდონ ბუაძეს**
5. ბრძანების დაინტერესებული პირისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს კოლეჯის საქმის მწარმოებელს **მანანა ჯოხაძეს**;
6. საჯაროობის მიზნით, ქსელის ადმინისტრატორს - **რომან მუსერიძეს** დაევალოს აღნიშნული ბრძანების და მისი დანართის განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე www.erkvani.ge
7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. ამბროლაურის საქალაქო სასამართლოში (მის: კოსტავას ქუჩა №13).
9. დაევალოს კოლეჯის საქმისმწარმოებელს მანანა ჯოხაძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მასზე დართული სსიპ კოლეჯის „ერქვანის“ საგანგებო მართვის გეგმის გაცნობა კოლეჯის დასაქმებულებისათვის.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფრიდონ ბუაძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი 2

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (27.06. 2018 წ.);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის #309 დადგენილება „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის № 51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის #153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის #154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად“;

დანართი 3

საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები

№	საგანგებო შტაბის წევრი (გვარი და სახელი) საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქცია	ამოცანები (მოვალეობები)	საკონტაქტო ტელეფონი	შენიშვნა
1.	საგანგებო შტაბის უფროსი: ფრიდონი ბუაძე	– საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების, ასევე საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს; – თანამშრომლებისა და პერსონალისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება; – მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება; – რეაგირების ფორმირების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება; – ფორმირების ინდივიდუალური დაცვისათვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა; – თანამშრომლებისა და პერსონალის დადგენილი	595068647	

2.	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში: ილია ოშხერელი	ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს. იგი ვალდებულია: – თანამშრომელთა, მატერიალურ ფასეულობათა, დოკუმენტების, უნიკალური მოწყობილობების, აპარატურის და სხვათა ევაკუაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება; – ადმინისტრაციულ შენობაში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება; – ევაკუაციის რაიონის, მოძრაობის მარშრუტის, ჩასხდომის და გადმოსხდომის ადგილის განსაზღვრა; – ევაკუირებულთა გადასაყვან ავტოტრანსპორტზე აღრიცხვიანობის ორგანიზება; – ევაკუირებულთა პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგების ორგანიზება; – მუდმივი კავშირის ქონა ქალაქგარე ზონაში ევაკომიმღებ პუნქტებთან; ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში, იგი ვალდებულია: – დროულად შეატყობინოს პერსონალს ევაკუაციის დაწყება; – დროულად გააგზავნოს შემკრებ საევაკუაციო პუნქტზე თავისი წარმომადგენელი; – ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომლების და პროფესიული სტუდენტების გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადაყვანის მიზნით; – ჩასახლების ადგილებში, ჩასვლის შემდეგ ორგანიზება გაუკეთოს ევაკუირებულთა დროულ დაბინავებას და მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას.	595223788	
3.	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - გრიგოლ დვალი	კავშირისა და შეტყობინების ჯგუფის უფროსი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს. იგი ვალდებულია: – ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, შეტყობინების სქემის მიხედვით საგანგებო შტაბის შეკრებასა და სხდომების ორგანიზებას; – იგი ვალდებულია დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, რეაგირების ფორმირების და პერსონალის სამოქალაქო	595068640	

		უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. – ოპერატიულად იღებს ზემდგომი ორგანოებიდან განკარგულებებს, ბრძანებებს და აწარმოებს მათ აღრიცხვიანობას; – ახორციელებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის შეგროვებას და მისი გაცვლის ორგანიზებას; საინფორმაციო ბაზის შექმნას და მის მუდმივ განახლებას.		
